ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N6

ქ.თბილისი 25 იანვარი, 2022 წელი
16^{00}საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ვლადიმერ ბოჟაძე
ოთარ გრიგოლია
კონსტანტინე ზარნაძე
ზაზა თავაძე
მიხეილ კაკაურიძე
ნინო კვიტაიშვილი
ცოტნე კობერიძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ნათია მოდებაძე
გიორგი ონიანი
ალექსანდრე რატიშვილი
რევაზ სოხაძე
დავით ფარცვანია
გიორგი ჩაკვეტაძე
გივი ჩხარტიშვილი
ლევან ჯაფარიძე
თორნიკე ბიკაშვილი
საბა ბუაძე
შოთა გრიგოლია
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
სალომე კობალაძე
ზვიად კუპრავა
ლილე ლიპარტელიანი
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
ნინო რუხაძე
ვახტანგ სურგულაძე
გიორგი შარაშიძე
ზურაბ ჩიკვილაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი გიგა გიგაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანი;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ იურიდიული სამსახურის უფროსი დავით ჩანქსელიანი.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

ნინო კვიტაიშვილმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოს ბიუროს სხდომაზე უკრაინელი ხალხის მიმართ მხარდამჭერი განცხადების განხილვასთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტება და ამიტომ, საკრებულოს წევრებს წაუკითხა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიერ მომზადებული მიმართვა.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რატომ იყო ნინო კვიტაიშვილისთვის გიორგი ტყემალაძის განმარტება გაურკვეველი, რადგან მკაფიოდ იქნა აღნიშნული, რომ „არა მხოლოდ უმრავლესობა, მთელი ქართველი ერი დგას უკრაინელი ხალხის გვრდით“ და საკრებულოს წევრები, სხდომის შემდეგ, იმსჯელებდნენ მიმართვის ტექსტზე. აღნიშნა, რომ ნინო კვიტაიშვილის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში მიმართვა იყო კიევის მოსახლეობასთან, რაც მისი თქმით, არასწორია, რადგან მიმართვა უნდა იყოს არა მხოლოდ კიევის მოსახლეობასთან, არამედ უკრაინელ ხალხთან და ამიტომ უმჯობესი იქნება, საკრებულოს წევრემა, სხდომის შემდეგ, იმსჯელონ განცხადების ტექსტზე და მივიდნენ საერთო მოსაზრებამდე.

ზაზა თავაძემ ისაუბრა მათ კოლეგაზე, მალხაზ თორიაზე, განხორციელებულ თავდასხმაზე და აღნიშნა, რომ ამ ფაქტიდან თითქმის ერთი თვის შემდეგაც გაურკვეველია თავდამსხმელების ვინაობა, რაც მიუკერძოებელი გამოძიების შემთხვევაში, ალბათ 24 საათში დადგინდებოდა, რადგან ცნობილია, როგორც თავდამსხმელების, ასევე, მათი სატრანსპორტო საშუალებების მონაცემები. მისი თქმით, აღნიშნული საზოგადოებაში იწვევს ძალიან ბევრ კითხვას და მიმართა შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, დროულად გამოიძიონ აღნიშნული ფაქტი და გაასაჯაროონ ამ საქმესთან დაკავშირებით არსებული მონაცემები, რათა მოიხსნას დღემდე არსებული კითხვის ნიშნები. აქვე განაცხადა, რომ მათი პოლიტიკური მხარდამჭერი აკაკი ბართაია, „სრულიად შეთითხნილი ბრალდებით“, პასუხისგებაშია მიცემული და იქიდან გამომდინარე, რომ არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ ის უნდა იჯდეს ციხეში, მიმართა შესაბამის უწყებებს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ იგი.

გიორგი ონიანმა სოლიდარობა გამოუცხადა იმ კოლეგებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც დღეს დაინფიცირებულია კოვიდით და მალე გამოჯანმრთელება უსურვა მათ. გამოეხმაურა ზაზა თავაძის განცხადებას და აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტის გამოძიება უნდა მოხდეს უფრო მეტი პასუხისმგებლობით და პროფესიონალიზმით. აქვე, ისაუბრა ნუგზარ ფუტკარაძის გარდაცვალების ფაქტზე, განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი დროულად უნდა იქნას გამოძიებული, რათა დადგინდეს, მისი გარდაცვალება გამოიწვია იმ ზეწოლამ, რაც ყველამ ვიხილეთ, თუ იყო რაიმე განყენებული მიზეზი.

ზვიად კუპრავამ ისაუბრა ისნის მეტროში პოლიციელის მიერ არასრულწლოვანი შშმ პირის ცემის ფაქტზე და მიმართა უმრავლესობის წევრებს: „არასოდეს ასე მკაფიო არ ყოფილა პარალელი ქართველ ხალხსა და ხელისუფლებას შორის... ეს პატარა ბიჭი და მისი გმინვა სინამდვილეში არის ქართველი ხალხის გმინვა და ქართველი ხალხის ხმა, საქართველოს ხმა, ხოლო ის მწამებელი პოლიციელი, რომელმაც აწამა და სცემა ყრუ-მუნჯი ბიჭი, ხართ თქვენ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება“. მისი თქმით, ერთადერთი პროპორციული და ადეკვატური პასუხი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიერ ჩადენილ ქმედებაზე შეიძლება იყოს ის, რომ „ქართული ოცნების“ გუნდმა დააყენოს შინაგან საქმეთა მინისტრის პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა ზვიად კუპრავას, რომ მისი გამოსვლა იყო ძალიან არაკორექტული და მის მიერ გაკეთებული შეფასებები არის სირცხვილი, ძალიან დიდი შეურაცხყოფა და ყოვლად მიუღებელი.

ვლადიმერ ბოჟაძე გამოეხმაურა ზვიად კუპრავას განცხადებას და მიმართა მას: „ცოტა უცნაურია თქვენი განცხადება იმ ფონზე, როდესაც იცით, რომ ორივე პოლიციელი პასუხისგებაშია მიცემული“. მისი თქმით, გენერალურმა ინსპექციამ სახელმიფო ინსპექტორის სამსახურს დროულად გადასცა ყველა მასალა და საქმეც დროულად იქნა გამოძიებული. განაცხადა, რომ, აქედან გამომდინარე, მისთვის გაუგებარია, თუ რას ემსახურება ზვიად კუპრავას განცხადება და მიმართა მას - „თქვენი ხელისუფლებისგან განსხვავებით, რომელიც ადამიანებს ციხეში, ქუჩაში აწამებდა და კლავდა, ჩვენ მოძალადე პოლიციელებს ვაპატიმრებთ, პრემიებს არ ვუხდით გვამებში, ადამიანების ცემაში, ბორკილების დადების რაოდენობის მიხედვით... არ ვაწინაურებთ და ღირსების ორდენებს არ ვაძლევთ“. მისი თქმით, ზვიად კუპრავა არის ყოფილი პოლიციელი და თავადაც კარგად იცის, რამხელა შეურაცხყოფა მიაყენა „ორი ნაძირალა არაკაცის“ გამო დანარჩენ პოლიციელებს.

მარიამ ზაქარიაშვილი გამოეხმაურა ზვიად კუპრავას განცხადებას და აღნიშნა, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად ტარდება სამართლიანი საგამოძიებო პროცესები და ნებისმიერი დამნაშავე კანონის წინაშე არის და იქნება თანასწორი. არ შეიძლება, რომ ერთეულმა პოლიციელებმა ჩრდილი მიაყენონ მთელ საკანონმდებლო სტრუქტურას და იმ ადამიანებს, რომლებიც პატიოსნად ემსახურებიან ჩვენს ქვეყანას. მისი თქმით, „უხერხულია ამ საკითხის პოლიტიზირება და მთლიანი სახელმწიფოს ლაფში ამოსვრა იმ ადამიანებისგან, რომელთა მმართველობის პერიოდში, სამწუხაროდ, ეს გამონაკლისი კი არა, ყოველდღიური პრაქტიკა იყო“. საუბრის ბოლოს, მარიამ ზაქარიაშვილმა სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინას და უკრაინელ ხალხს და მშვიდობა უსურვა მათ.

ალექსანდრე რატიშვილმა განაცხადა, რომ მიმდინარე სხდომა დაიწყო საკრებულოს წევრების ერთსულოვნებით და ფიქრობდა, რომ ასე გაგრძელდებოდა, თუმცა არის ისევ დაპირისპირების და აგრესიის მცდელობა, რაც არ არის საქმიანი რეჟიმი და არის სიძულვილის ენა. მისი თქმით, როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, რომ უკრაინის პრობლემა იგივენაირად არის ჩვენი პრობლემაც, ამ მძიმე დღეებში მაინც უნდა შევიკავოთ თავი მსგავსი დაპირისპირებებისგან და ვიფიქროთ საქმიან თანამშრომლობაზე.

საბა ბუაძემ პოლიციელის მხრიდან შშმ პირის ცემის ფაქტზე განაცხადა, რომ „ნამდვილად შემზარავი რაღაც ვნახეთ ჩვენ ყველამ“, იზიარებს ამ კუთხით პრობლემის დასმის საკითხს, თუმცა, სიმწვავეში და შეფასებებში, მათ შორის კოლეგების, ვერ დაეთანხმება ზვიად კუპავას, რადგან არავის ჰუმანურობაში ეჭვი არ შეაქვს. მისი თქმით, როდესაც საუბარია ასეთ მძიმე დანაშაულზე, პრობლემა უფრო ღრმად უნდა ვეძიოთ და ვაღიაროთ, რომ ეს არის სისტემური პრობლემა, რომელიც, სამწუხაროდ, წინა ხელისუფლების დროს გადაიქცა ძალიან სერიოზულ გამოწვევად და წავიდეთ იმის მიღმა, რომ თურმე აღნიშნული ფაქტი არის ორი პოლიციელის განყენებული საკითხი და საქმე არ გვაქვს სამართალდამცავ სისტემაში არსებულ უფრო დიდ პრობლემასთან. საბა ბუაძემ ასევე, ისაუბრა დღეს გაჟღერებულ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება ვარკეთილში მიმდინარე მშენებლობას და განაცხადა, რომ აღნიშნული თავგასულობის, თავხედობის და ძალიან ღია, დაუფარავი სისხლის სამართლის დანაშაულის გამაოგნებელი მაგალითია. მისი თქმით, იმ ადამიანმა, რომელმაც ააშენა უზარმაზარი კორპუსი, დედაქალაქს მიაყენა უდიდესი ზიანი არა მხოლოდ უკანონო მშენებლობის, არამედ ასეთი ამაზრზენი პრეცედენტის შექმნის სახითაც და თუ საკრებულოს რეალურად აწუხებს სამოხელეო დანაშაულის და კორუფციის პრობლემა, უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა სამომავლოდ თავიდან აირიდოს მსგავსი ტიპის პრობლემები.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ეთანხმება საბა ბუაძის მოსაზრებას, რომ არ შეიძლება ქალაქში ხდებოდეს მსგავსი უკანონო მშენებლობების განხორციელება. აღნიშნა, რომ მშენებლობის დაწყების შემდეგ, ზედამხედველობის სამსახურის მიერ, მშენებელი არაერთგზის იქნა დაჯარიმებული და ამ ეტაპზე მისი საკითხი გადაცემულია აღსრულების ბიუროში. აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილება, რომ მსგავს ქმედებებს მიეცეს სისხლის სამართლებრივი დანაშაულის კვალიფიკაცია და მნიშვნელოვანია ამუშავდეს ეს ბერკეტი, რადგან, დაუშვებელია უკანონო

მშენებლობა, არ აქვს მნიშვნელობა იქნება ეს კორპუსი თუ ჯიხური, კანონის წინაშე ყველა უნდა იყოს თანასწორი. მისი თქმით, ხშირ შემთხვევაში, მუნიციპალურ ინსპექციას კანონმდებლობით არ აქვს საშუალება გამოიყენოს ის ბერკეტები, რომლებზეც საუბარია ამ კონკრეტულ შემთხვევაში და გამოთქვა მოსაზრება, რომ მუნიციპალიტეტმა უნდა იფიქროს ზედამხედველობის ფუნქციების გაფართოებაზე და იმუშაოს იმ კუთხით, რომ მუნიციპალურ ინსპექციას ამ მიმართულებით ჰქონდეს უფრო მეტი ბერკეტი, რათა სამომავლოდ თავიდან იქნას აცილებული მსგავსი შემთხვევები.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ სწორედ ასეთი შემთხვევების არსებობამ გამოიწვია ის, რომ თბილისის მერიის ადმინისტრაციამ თხოვნით მიმართა საქართველოს პარლამენტს, საკანონმდებლო დონეზე განეხორციელებინა ცვლილებები, რომლის თანახმადაც მსგავსი ტიპის დარღვევების არსებობისას, საუბარი იყოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაზე. თუმცა, ეთანხმება რევაზ სოხაძის მოსაზრებას, რომ ამ მიმართულებით უნდა გაძლიერდეს მუნიციპალური ინსპექციის ფუნქციები, რათა მას ჰქონდეს რეალური ბერკეტი იმისა, რომ აღარ განმეორდეს მსგავსი ფაქტები. აქვე, გამოეხმაურა საბა ბუაძის მიერ სამოხელეო დანაშაულთან და კორუფციასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და მიმართა როგორც მას, ასევე, საკრებულოს ყველა წევრს: „თუ რაიმე ფაქტი არსებობს, არა ზოგადად, არა ე.წ. ჭორებით, არამედ კონკრეტულად, ითანამშრომლეთ შესაბამის უწყებასთან. პირობას გაძლევთ, ვიქნები თქვენს გვერდში“.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და მისასალმებელია საკრებულოს წევრების ერთსულოვნება, რაც გამოვლინდა უკრაინელი ხალხისთვის სოლიდარობის გამოცხადებაში. გამოეხმაურა პოლიციელის მხრიდან შშმ პირის ცემის ფაქტს და აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება ზვიად კუპრავას მიერ გაკეთებულ განცხადებას, რადგან დარწმუნებულია, რომ საკრებულოს თითოეული წევრისთვის მიუღებელია იმ პოლიციელების საქციელი. მისი თქმით, აღნიშნული არის სისტემური პრობლემა, რაც არც წინა და არც იმის წინა ხელისუფლების ბრალი არ არის, რადგან ეს პრობლემები მოდის ჩვენი საბჭოთა წარსულიდან და, რა თქმა უნდა, როგორც ჩვენი მხრიდან, ასევე, თქვენი მხრიდან წარსულის შეცდომებზე აპელირება იწვევს გაღიზიანებას, რაც თავის მხივ, იწვევს ურთიერთ აგრესიას. აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნება, ვიყოთ კონსტრუქციულები, ყველამ გავითავისოთ, რომ ეს არის სისტემური პრობლემა და ერთად გამოვასწოროთ, რათა ვიცხოვროთ თავისუფალ ქვეყანაში და ჩვენმა მომავალმა თაობამ არ გაიაროს ის პრობლემები, რაც გავიარეთ ჩვენ. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა ვარკეთილში უკანონო მშენებლობის საკითხს და აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, კომპანია, რომელიც ვარკეთილში უკანონოდ აწარმოებდა კორპუსის მშენებლობას, დაჯარიმებული იყო არა მხოლოდ ამ მშენებლობის, არამედ, ასევე, აღმაშენებელზე მიმდინარე მშენებლობის გამო, რომელიც აღსრულების პროცესშია, ხოლო, ვარკეთილში არსებული უკანონო მშენებლობის გამო დაკისრებული ჯარიმის აღსრულებისგან გათავისუფლებულია. ლილე ლიპარტელიანის თქმით, აღნიშნული ზიანს აყენებს საჯარო ინტერესს და საკრებულო ამ შემთხვევაშიც უნდა იყოს ერთიანი, რათა ქალაქში აღარ განმეორდეს მსგავსი შემთხვევები.

ნინო რუხაძემ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს, განაცხადა, რომ სიმართლე არ არის რუსეთის მხარეს, სიმართლე არის საქართველოს და უკრაინის მხარეს და იმედი გამოთქვა, რომ ეს სიმართლე მალე გაიმარჯვებს. ასევე, განაცხადა, რომ ვერ დაეთანხმება მოსაზრებას, თითქოს პოლიციელის მიერ შშმ პირის ცემის ფაქტი არის სისტემური დანაშაული, რადგან მისი აზრით, სისტემურია დანაშაული, რომელიც წახალისებულია ხელისუფლების მხრიდან, ხოლო დღევანდელი ხელისფლებისთვის მსგავსი ფაქტები კატეგორიულად მიუღებელია. მისი თქმით, პოლიცია არის სტრუქტურა, რომელიც მუდმივად საჭიროებს სრულყოფას, განვითარებას და მკაცრ ზედამხედველობას, რადგან ეს არის სტრუქტურა, სადაც კონცენტრირებულია ძალიან დიდი ძალაუფლება და არსებობს ცალკეული შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს ამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „დავით ფარცვანიას უფლებამოსილების ცნობის თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება – ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელი: დავით ჩანქსელიანი

4. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გელა ჩივიაშვილი

6. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.069) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

7. „ქალაქ თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა N118-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.011.014.01.508 და N01.16.01.011.014.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

8. „ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.026.01.552 და N01.13.06.002.026.01.553) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, სახლი N93-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.008.010.01.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, მე-4 მიკრორაიონის, კორპუსი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.004.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N1-ში, კორპუსი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.024.008.01.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.05.885) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, უძოს ქუჩა N7-ში მდებარე 40.23 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.06.486.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის I ჩიხის N4ბ-ში არსებული 102.03 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.19.913.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34-ში მდებარე 67.65 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N116-ში მდებარე 93.25 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.021.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5-ში (საკადასტრო კოდები: N01.12.07.005.009.10.500 და N01.12.07.005.009.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ში, მე-2 მიკრორაიონის კორპუს N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.023.004.01.521) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქ.თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N19-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.009.032) პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ხარატიშვილისთვის (პ/ნ. 01017012993) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქ.თბილისში, ემზარ სულაქველიძის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 46 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.045.028) პირდაპირი განკარგვის წესით შალვა ჯოხაძისთვის (პ/ნ.

45001002521) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N41-31 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

22. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-21 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

23. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

24. „ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა N18-ში; ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.05.003.014; N01.14.05.003.013) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

25. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და ქიზიყის ქუჩის გადაკვეთაზე, (ნაკვ. 03/006); ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.21.003.134; N01.19.21.003.145; N01.19.21.003.141; N01.19.21.003.154) მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული, სასაწყობე) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

26. „ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

28. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N5-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ";

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

მომხრე - 37

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „დავით ფარცვანიას უფლებამოსილების ცნობის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

დავით ფარცვანიამ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს მხარდაჭერისთვის, განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა იყოს საკრებულოს წევრი და იმედი გამოთქვა, რომ საკრებულოს წევრები, ერთობლივი თანამშრომლობით და მუდმივი საქმიანობით შეძლებენ თბილისი აქციონ შესაძლებლობების და არა გამოწვევების ქალაქად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის შესახებ საგრანტო ხელშეკრულების ხელმოსაწერად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, გვექნება შესაძლებლობა კონტრაქტი გავაფორმოთ ტენდერით გამოვლენილ საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიასთან და კონკრეტულად ვიმუშაოთ იმ სქემის იმპლემენტაციის საკითხებზე, რომელიც გულისხმობს ყვითელი მიკროავტობუსების სრულად ჩანაცვლებას ახალი, ლურჯი მიკროავტობუსებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა „თბილსერვის ჯგუფის“ იურიდიული სამსახურის უფროსმა დავით ჩანქსელიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით,

2022 წელს, დედაქალაქის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებასა და ნარჩენების მართვას განახორციელებს შპს „თბილსერვის ჯგუფი“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 35

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

4. „მეორეული საბურავების, შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ექსპლუატაციიდან გამოსული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ნაწილების, ადვილად აალებადი, ფეთქებადი ან ამტვერებადი მასალის განთავსების ან/და რეალიზაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N54-35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის დადგენილებით განსაზღვრული ვადის (2022 წლის პირველი იანვარი) გაგრძელებას 2024 წლის პირველ იანვრამდე.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ მართალია, ბევრი იმ ადამიანისთვის, ვინც ჩართულია საქმიანობის ისეთ სფეროში, რომელსაც მოიცავს წარმოდგენილი პროექტი, არსებობს ფინანსური პრობლემები და ისინი კიდევ უფრო გამწვავდება ამ რეგულაციის შემოღებით, ხსენებული რეგულაციის გადავადება ორი წლით მიზანშეწონილი არ არის, რადგან ორი წლის შემდეგ, იქნება იგივე მოცემულობა, რომ ამ ადამიანებს ისევ სწრაფად მოუწევთ ცვლილებებთან ადაპტაცია. აქედან გამომდინარე, გამოთქვა მოსაზრება, რომ რეგულაციის ამოქმედება გადავადდეს ერთი წლით და ეს დრო გამოყენებული იქნას იმისთვის, რომ ჩატარდეს მაქსიმალურად ეფექტური საკომუნიკაციო კამპანია.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ, ურთიერთსაწინააღმდეგო მსჯელობაა, რეგულაციების ამოქმედების ერთი წლით გადავადებაზე საუბარი მაშინ, როდესაც ვამბობთ, რომ ორი წლის შემდეგაც შეიძლება დაგვიდგეს ის რეალობა, რომ ამ სფეროში მომუშავე ადამიანებმა ვერ შეასრულონ დადგენილი რეგულაციები. ამასთანავე, როდესაც საუბარია კაპიტალურ დანახარჯზე, რომელიც გულისხმობს მშენებლობის განხორციელებას, უნდა აღინიშნოს, რომ, მას აქვს თავისი ვადები და მხოლოდ მშენებლობის ნებართვის აღებას შესაძლებელია დასჭირდეს ექვსი თვე, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული სექტორი დარჩენილ ექვს თვეში ვერ მოახერხებს რეგულაციის შესასრულებლად საჭირო თანხის მობილიზებას. ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სწორედ აქედან გამომდინარე, ორი წელი არის გონივრული ვადა.

გიგა გიგაშვილმა განაცხადა, რომ დადგენილების მიღებისას, ამ სფეროში მომუშავე ადამიანებს, რეგულაციებთან ადაპტაციისთვის, განესაზღვრათ ორწლიანი ვადა და აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზეც, წარმოდგენილია ორწლიანი ვადა, რათა მათ საკმარისი დრო ჰქონდეთ მოსამზადებლად.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა, საერთოდ არ დამდგარიყო რეგულაციების გადავადების საჭიროება, თუმცა, ამის აუცილებლობა გამოწვეულია გარკვეული ობიექტური მიზეზებით, რაშიც იგულისხმება ქვეყანაში არსებული პანდემია, ეკონომიკური მდგომარეობა, სამუშაო ადგილები და სხვა. იქიდან გამომდინარე, რომ რეგულაციების გადავადება არ იყოს მხოლოდ ტექნიკური და მომავალ წელს იგივეს გაკეთება არ მოგვიწიოს, რადგან ერთი წელი არ იქნება საკმარისი დრო, ორი წელი არის რეალური ვადა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, ის უსახლკარო ადამიანები, რომლებსაც გამგეობები უხდიან ბინის ქირის თანხას, შევლენ პრიორიტეტულ ჯგუფში, რაც შემდგომ გათვალისწინებული იქნება უსახლკარო პირების საცხოვრისით დაკმაყოფილებისას.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ საქართველოში არ არსებობს პროგრამა, რომელიც საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფს ბავშვთა სახლებიდან გამოსულ 18-დან 23 წლამდე ახალგაზრდებს და გამოთქვა მოსაზრება, რომ თუ შესაძლებელია, მუნიციპალიტეტმა იზრუნოს ასეთი კატეგორიის პირებისთვის საცხოვრებელი ფართის გადაცემაზე, დროებით სარგებლობაში მანამ, სანამ დაასრულებენ სწავლას ან დაეუფლებიან რაიმე პროფესიას, რომ თავად შეძლონ საკუთარი თავის საცხოვრისით უზრუნველყოფა.

გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტი, საცხოვრებელი ფართის გადაცემას დროებით სარგებლობაში ახორციელებს ორი ან მეტი პირისგან შემდგარ ოჯახებზე, ხოლო ერთ ადამიანს სთავაზობს თავშესფრით უზრუნველყოფას. შესაბამისად, თუ ბავშვები არ არიან რომელიმე ოჯახში რეგისტრირებულები, ამ პროგრამით ვერ ისარგებლებენ, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვთა სახლები არის ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში, შესაძლებელია, სამინისტროსთან ერთად, ამ საკითხზე მუშაობა და გარკვეული პროგრამის შემუშავება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

6. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.069) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 130 კვ.მ. ფართის გადაცემა ხუთი ოჯახისთვის, რომლებიც 1999-2003 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „ქალაქ თბილისში, ჯავახიშვილის ქუჩა N118-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.01.011.014.01.508 და N01.16.01.011.014.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 31 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1998 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „ქალაქ თბილისში, ვანის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.026.01.552 და N01.13.06.002.026.01.553) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 27 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2005 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლებაში, სახლი N93-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.008.010.01.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 34 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2004 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში, მე-4 მიკრორაიონის, კორპუსი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.08.005.004.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ

წარმოდგენილია 55 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1998 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისში, ჭიჭინაძის ქუჩა N1-ში, კორპუსი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.024.008.01.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 99 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1991 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორი, გალაქტიონ ტაბიძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.05.885) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 243 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2000 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, უმოს ქუჩა N7-ში მდებარე 40.23 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.06.486.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 40 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1964 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის I ჩიხის N4ბ-ში არსებული 102.03 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.19.913.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 100 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1990 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34-ში მდებარე 67.65 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 67 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N116-ში მდებარე 93.25 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.021.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 93 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2003 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის შესახვევი N5-ში (საკადასტრო კოდები: N01.12.07.005.009.10.500 და N01.12.07.005.009.02.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და

განმარტა, რომ წარმოდგენილია 71 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1997 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ში, მე-2 მიკრორაიონის კორპუს N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.023.004.01.521) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 69 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2012 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქ.თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი N19-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.14.009.032) პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ხარატიშვილისთვის (პ/ნ. 01017012993) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. საიჯარო ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1800 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქ.თბილისში, ემზარ სულაქველიძის ქუჩა N4-ის მიმდებარედ 46 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.07.045.028) პირდაპირი განკარგვის წესით შალვა ჯოხაძისთვის (პ/ნ. 45001002521) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. საიჯარო ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 4420 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N41-31 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო პროექტი ეხება საკრებულოს განკარგულებების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებას, რაც გულისხმობს თბილისში, სამ სხვადასხვა ტერიტორიაზე (ერთი ოქროყანაში და ორი სოფელ ტაბახმელაში) შეცვლილი ფუნქციური ზონის ძალადაკარგულად გამოცხადებას. ამ ტერიტორიებზე ფუნქციური ზონის სტატუსი შეცვლილი იყო დამტკიცებული გრგ-ების შესაბამისად, რომლებსაც 2021 წლის 31 დეკემბერს გაუვიდა ვადა და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტებით, ზემოთ ხსენებულ ტერიტორიებს დაუბრუნდებათ გრგ-ს დამტკიცებამდე არსებული ზონის სტატუსი (ძირითადად სატყეო და სარეკრეაციო ზონა).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-21 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 36

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-032136425-03 თარიღი: 30.12..2021, N12-032201223-03 თარიღი: 12.01..2022, N12-032201417-03 თარიღი: 14.01..2022, N12-032202127-03 თარიღი: 21.01..2022 და N12-032135041-03 თარიღი: 16.12..2021 (განსახილველად წარმოდგენილია „ა" პოზიცია), რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების

რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-032136425-03 წერილით წარმოდგენილი „ე“ და N12-032201417-03 წერილით წარმოდგენილი „ე“ პოზიციები, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

24. „ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა N18-ში; ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N46-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.14.05.003.014; N01.14.05.003.013) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 9000 კვ.მ. დაგეგმილია მიწის ნაკვეთების ერთ საკადასტრო ერთეულად გაერთიანება და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრებით, ერთი, მაქსიმუმ 20 სართულიანი შენობა-ნაგებობის განთავსება, სადაც 90% დაეთმობა საცხოვრებელ ფუნქციას, ხოლო 10% - კომერციულ ფართს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

25. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და ქიზიყის ქუჩის გადაკვეთაზე, (ნაკვ. 03/006); ქალაქი თბილისი, კახეთის გზატკეცილი, კოსმონავტების სკვერის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.21.003.134; N01.19.21.003.145; N01.19.21.003.141; N01.19.21.003.154) მრავალფუნქციური კომპლექსის (კომერციული, სასაწყობე) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 13000 კვ.მ., რომელზეც, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ოთხი, კომერციული და სასაწყობე ფუნქციის, შენობა-ნაგებობის განთავსება, რომელთა მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრულია 15 მეტრით ანუ 3 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

26. „ქალაქ თბილისში, მექანიზაციის ქუჩა N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.12.12.002.078; N01.12.12.002.077) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 12000 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია 2021 წლის 21 დეკემბრის N58 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმარებითი დავალების შესაბამისად, კერძოდ, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის და საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება სამი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 15 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად, საკრებულოს თავმჯდომარეს მიეცა უფლებამოსილება, საკუთარი გადაწყვეტილებით, იყოს ან არ იყოს კომისიის წევრი და აქედან გამომდინარე, საკრებულოს რეგლამენტში, კანონმდებლობის შესაბამისად, ხორციელდება ამ ცვლილების ასახვა. ასევე, შემოდის საკრებულოს უმრავლესობის და ოპოზიციის ცნებები, რაც გულისხმობს შემდეგს: საკრებულოს წევრებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ უმრავლესობის წევრებად, ხოლო ვინც არ დარეგისტრირდება უმრავლესობის წევრად, ავტომატურად ნიშნავს, რომ ის არის საკრებულოს ოპოზიციის წევრი. აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამის დასკვნას მოამზადებს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს, რომელიც დაარეგისტრირებს, როგორც უმრავლესობას, ასევე, ოპოზიციას. ამასთანავე, შემოდის უმრავლესობის ლიდერის სტატუსიც, რომელიც არ არის თანამდებობა და შეთავსებადია სხვა თანამდებობასთან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

28. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N5-5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის

დებულებაში ცვლილების განხორციელება გამოწვეულია საკრებულოს რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

29. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია არსებული შტატების გადანაცვლება საკრებულოს თავმჯდომარის და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნოებში და ასევე, საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სამდივნოში ერთი საშტატო ერთეულის ცვლილება უფრო მაღალი რანგით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 8 დადგენილება და 21 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ჯხვლედიანი